საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7170
24/11/2022

7170-21-2-202211241735

შპს „სსსო“-ს
ელ. ფოსტა: minadzenana175@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №6497 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის ქ. №58-ში სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში მითითებული ინფორმაციის თანახმად, საწარმოში ხორციელდება ქვის დახერხვა და ნედლეულის მსხვრევა სამსხვრევ დანადგარზე. თუმცა დოკუმენტის ძირითადი ნაწილი ეთმობა ქვის დახერხვის საქმიანობას და წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია სასარგებლო წიაღისეულის (ქვის ლოდი) გადამამუშავებელი ხაზის ტექნოლოგიური პროცესის, ტექნიკური პარამეტრების, ასევე სამსხვრევი დანადგარიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ. ამასთან, დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად შესაძლო ზემოქმედების ხასიათის თაობაზე;
- სკრინინგის განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად). ასევე, საწარმოს განთავსების GPS კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ობიექტზე სასმელ-სამეურნეო, საწარმოო დანიშნულებით წყალაღების, სამეურნეო-ფეკალური და საწარმოო ჩამდინარე წყლების მართვისა და საწარმოს ტერიტორიაზე სანიაღვრე წლების წარმოქმნისა და შემდგომი მართვის საკითხი;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს სახიფათო ნარჩენების შემდგომი მართვის საკითხი;
- დოკუმენტში წარმოდგენილი (დანართი 4) საწარმოს გენგეგმა არ არის გარჩევადი;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ობიექტის საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 220 მეტრით. შესაბამისად, დოკუმენტში

წარმოდგენილი უნდა იყოს სიტუაციური სქემა უახლოეს მოსახლესთან დაშორებული მანძილის მითითებით;

- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს სალექარის პარამეტრების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებას თან უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში;
- სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონულად (PDF ფაილის ფორმატში).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო